

შპს „თერმორუმი“ (საინდეტიფიკაციო # 405134448)

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2018წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „თერმორუმი“ საინდეტიფიკაციო ნომრით 405134448, (შემდგომში „საზოგადოება“) დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო მიერ 03.02.2016წ., საინდეტიფიკაციო ნომრით: 405134448.

1.1. საზოგადოების საქმიანობის საგანი:

- საზოგადოება განახორციელებს საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილებისაკენ მიმართულ საქმიანობას, რომელიც მოგების მისაღებად არის გამიზნული;
- საქმიანობის ძირითადი საგანია ვაჭრობა გათბობა-კონდიციონერების და ვენტილაციის სისტემებით;
- საზოგადოება უფლებამოსილია განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რაც პირდაპირ ან არაპირდაპირ ემსახურება მის მიზნებსა და ინტერესებს, და აკრძალული არ არის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;

1.2. საზოგადოება არის მესამე კატეგორიის საწარმო.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა:

2.1. საზოგადოების მიერ 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მსს ფასს-ის შესაბამისად ხდება პირველად. წინა პერიოდებში ფინანსური ანგარიშგება საერთოდ არ ყოფილა წარდგენილი;

2.2. საზოგადოების საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა - ლარი;

2.3. მსს ფასს-ის 35-ე განყოფილების თანახმად 2015 წლის მაისში გამოცემული დოკუმენტის - „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესწორებები (მსს ფასს)“ - შედეგად ცვლილებები შევიდა მსს ფასს-ის რიგ მუხლებში, რომელთა გამოყენება სავალდებულოა 2017 წლის 01 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის;

2.4. საზოგადოება წინა პერიოდებში იყენებდა ბუღალტრული აღრიცხვის ტრადიციულ მეთოდებს და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მსს ფასს-ის მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სისტემაზე გადავიდა 2018 წლის 01 იანვრიდან;



- 2.5. სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც საზოგადოება იყენებს მსს ფასს-ზე გადასვლის შემდეგ საზოგადოების პირობებში არსებითად არ განსხვავდება იმ სააღრიცხვო პოლიტიკისგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშგებო პერიოდებში. აღნიშნულის გათვალისწინებით ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა;
- 2.6. ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების მიერ საზოგადოების ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის შედეგების ტენდენციების გაანალიზების მიზნით, შესაძარისობის პრინციპიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ფინანსური ანგარიშგების უწყისებში შეგვეტანა წინა საანგარიშგებო პერიოდის - 2017 წლის ფინანსური ინფორმაცია, რომელსაც საზოგადოების საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით არსებითი გავლენა არ მოუხდენია ფინანსური ანგარიშგების ფინანსურ და არაფინანსურ მუხლებში შესატან ინფორმაციაზე და შესაბამისად მოგება-ზარალსა და კაპიტალზე;
- 2.7. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის - 31 დეკემბერს არსებული კურსით;
- 2.8. სასაქონლო-მატერიალური ფასულობების აღიარება ხდება თვითღირებულების მეთოდით. თვითღირებულების ჩამოწერა ხდება საშუალო შეწონილის მეთოდით;
- 2.9. საზოგადოება იყენებს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის თვითღირებულების მოდელს და ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს; თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება;
- 2.10. არამატერიალური აქტივი არის კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც ასახულია ნარჩენი ღირებულებით;
- 2.11. ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება.
- 2.12. მიწოდებიდან და მომსახურებიდან მოთხოვნების დარიცხვა ხდება ოპერაციის მოხდენისთანავე - მომსახურების შემდეგ, დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება; შემოსავლის დარიცხვა ხდება მაშინ, როცა ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მატალია და შესაძლებელია მისი სათანადოდ შეფასება.



- 2.13. სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით აღიარებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში ასახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში;
- 2.14. ხელფასის დარიცხვა ხდება შრომითი ხელშეკრულების მიხედვით. თანამშრომელს უკავდება საშემოსავლო გადასახადი, ხელზე იღებს დარჩენილ თანხას გადასახადების გადახდის შემდეგ;
- 2.15. მიღებულ და გაცემულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების მიხედვით და აისახება შემოსავლებში;
- 2.16. შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით. საგადასახდო ვალდებულებების დარიცხვა წარმოებს საგადასახდო ანგარიშგებაში ასახული გადასახდის ოდენობით (შესაბამის დეკლარაციაში ასახული თანხით);
- 2.17. საზოგადოების კაპიტალი განისაზღვრება საზოგადოების მფლობელების გადაწყვეტილების საფუძველზე. პარტნიორებს შეუძლიათ გაზარდონ საზოგადოების კაპიტალის ოდენობა დამატებითი შენატანებით და საზოგადოებაში ახალი პარტნიორის მიღებით. შენატანი საზოგადოების კაპიტალში შეიძლება წარმოდგენილი იქნეს როგორც ფულადი, ისე სხვა მატერიალური და არამატერიალური ქონების სახით.
- 2.18. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მაკორექტირებელ მოვლენას ადგილი არ ჰქონია;
- 2.19. საზოგადოების მიერ წარმოდგენილი 2018 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს-ის შესაბამისად;

4. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტი

დასახელება	
ნაღდი ფული სალაროში	5848
ფული საბანკო ანგარიშზე - ლარი	334180
ფული საბანკო ანგარიშზე - აშშ დოლარი	1283
ფული საბანკო ანგარიშზე - ევრო	249
სხვ ფულადი სახსრები	3249
სულ ფული და ფულადი ექვივალენტი	344 809



5. სავაჭრო მოთხოვნები

დასახელება	31.12.2018წ.
რეზიდენტი პირი	3636901
არარეზიდენტი პირი	56
სულ სავაჭრო და სხვადასხვა მოთხოვნები	3 636 957,00

6. გადახდილი ავანსები

დასახელება	31.12.2018წ.
რეზიდენტი პირები	364681
არარეზიდენტი პირი	1725632
სულ გადახდილი ავანსები	2 090 313,0

7. ძირითადი საშუალებები

დასახელება	31.12.2018	31.12.2017
მიწის ნაკვეთები	1 501 276,00	0
დაუმთავრებელი მშენებლობა	1 549 455,00	8191
მანქანა დანადგარები	41 740,00	47314
ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	75 865,00	63868
სატრანსპორტო საშუალებები	106 667,00	84299
არამატერიალური აქტივები	9 906,00	9906
სულ ძირითადი საშუალებები	3 284 909,00	213 578,00

8. სავაჭრო ვალდებულებები

დასახელება	31.12.2018წ.
რეზიდენტი პირები	1 474 287,00
არარეზიდენტი პირი	2332734
სულ სავაჭრო ვალდებულებები	3 807 021

9. მიღებული სესხები

დასახელება	31.12.2018წ.
სს " საქართველოს ბანკი "	9 249 454,00
სულ გაცემული სესხები	9 249 454,00

დირექტორი

ბუღალტერი



[Handwritten signature]

შპს "თერმორუმი"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018წ. 31 დეკემბრისათვის

	შენიშვნა	2018წ.	2017წ.
	ა		
აქტივები			
<i>მიმდინარე აქტივები</i>			
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	4	344 809,00	740 770,00
სავაჭრო მოთხოვნები	5	3 636 957,00	2 954 001,00
გადახდილი ავანსები	6	2 090 313,00	1 810 932,00
გაცემული სესხები		155 800,00	38 800,00
მისაღები პროცენტები		41 621,00	10 092,00
სულ მიმდინარე აქტივები		6 269 500,00	5 554 595,00
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		5 576 917,00	3 813 919,00
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები		5 576 917,00	3 813 919,00
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>			
ძირითადი საშუალებები	7	224 272,00	195 481,00
დაუმთავრებელი მშენებლობა		1 549 455,00	8 191,00
მიწის ნაკვეთი		1 501 276,00	-
არამატერიალური აქტივები		9 906,00	9 906,00
სულ გრძელვადიანი აქტივები		3 284 909,00	213 578,00
სულ აქტივები		15 131 326,00	9 582 092,00
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
სავაჭრო ვალდებულებები	8	3807021	2277216
საგადასახადო ვალდებულებები		160130	266190
მოკლევადიანი სესხები	9	9249454	5724237
მიღებული ავანსები	10	433908	42755
სულ ვალდებულებები		13650513	8310398
<i>საკუთარი კაპიტალი</i>			
საწესდებო კაპიტალი		7445	7445
გაუნაწილებელი მოგება		1473368	1264249
სულ საკუთარი კაპიტალი		1 480 813,00	1 271 694,00
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		15 131 326,00	9 582 092,00

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:



2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

დასახელება	
შემოსავალი რეალიზაციიდან	21 996 712,00
არასაოპერაციო შემოსავალი	1 377 611,00
სულ შემოსავალი	23 374 323,00
საოპერაციო ხარჯები:	
საქონლის თვითღირებულება	17 560 420,00
შრომის ანაზღაურება	1 195 443,00
საიჯარო ქირა	391 347,00
მიწოდების ხარჯები 7300	224 470,00
კომუნალური ხარჯი	29 629,00
დაზღვევის ხარჯი	22 234,00
საკონსულტაციო ხარჯი	3 376,00
ცვეთის ხარჯი	40 264,00
საგადასახადო ხარჯი/ქონების გადასახადი	10 060,00
სხვადასხვა მომსახურება	1 357 050,00
სულ საოპერაციო ხარჯები:	20 834 293,00
სხვა არასაოპერაციო ხარჯები:	
საპროცენტო ხარჯი	492 308,00
არასაოპერაციო ხარჯი	1 838 603,00
სულ არასაოპერაციო ხარჯი	2 330 911,00
სულ ხარჯები	23 165 204,00
საანგარიშო პერიოდის ფინანსური მოგება (ზარალი)	209 119,00

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:



შპს "თერმორუმი"

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 01.01.2018-31.12.2018 პერიოდისთვის

	საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა	
1	ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის დასაწყისში	740 770,00
2	მყიდველებიდან მიღებული ფულადი სახსრები (+)	24 630 855
3	მიმწოდებლებსა და თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები (-)	(22 342 347)
5	გადახდილი გადასახადები (-)	(3 458 625,00)
6	არასაოპერაციო შემოსავლები (+)	
7	არასაოპერაციო ხარჯები (-)	(37 903)
9	წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(1 208 020)
	საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა	
10	შვილობილი საწარმოს შეძენა სახსრების გამოკლებით (-)	
11	ძირითადი საშუალებების შეძენა (-)	(1 897 061)
12	ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული სარგებელი (+)	
13	გაცემული სესხი (-)	(117 000)
14	მიღებული პროცენტები (+)	
15	გადახდილი პროცენტები (-)	
16	მიღებული დივიდენდები (+)	
17	გაცემული დივიდენდები (-)	
18	წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(2 014 061)
	საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა	
19	შემოსულობანი აქციათა ემისიის შედეგად (+)	
20	ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან (+)	9 003 075
21	ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებულ ვალდებულებათა განაღდება (-)	
22	ინვესტიცია სხვა საზოგადოებაში (-)	-
23	სესხის პროცენტის გადახდა (-)	(492 309)
24	სესხის ძირის გადახდა (-)	(5 684 646)
25	წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	2 826 120
26	ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის ბოლოს	344 809
27	ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა (შემცირება)	(395 961)

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:



შპს "თერმორუმი"

2018 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის კაპიტალში გვლილების ანგარიშგება

	საქსდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 31 დეკემბერი 2017	7 445,00	1 264 249,00	1 271 694,00
საანგარიშო პერიოდის გვლილებები			-
საანგარიშო პერიოდის მოგება/ ზარალი	-	209 119,00	209 119,00
ნაშთი 31 დეკემბერი 2018	7 445,00	1 473 368,00	1 480 813,00

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:

